პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и
Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 15 (377) პარასკევი, 14 ოქტომბერი, 1949 წ. ფასი 30 კაპ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ვილჰელმ პიკს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ბატონ ოტო გროტევოლს

ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით გერმანელ ხალხს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისა და პირველის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტად, ხოლო მეორის — პრემიერ-მინისტრად არჩევის გამო.

გერმანიის დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე რესპუბლიკის შექმნა მობრუნების პუნქტია ევროპის ისტორიაში. არ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის არსებობა მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირის არსებობასთან ერთად გამორიცხავს ახალი ომების შესაძლებლობას ევროპაში, ბოლოს უღებს სისხლისღვრას ევროპაში და შეუძლებელს ხდის ევროპის ქვეყნების დამონებას მსოფლიო იმპერიალისტების მიერ.

უკანასკნელი ომის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამ ომში ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღეს გერმანელმა და საბჭოთა ხალხებმა, რომ ამ ორ ხალხს ყველაზე მეტი პოტენცია აქვს ევროპაში მსოფლიო მნიშვნელობის დიდი აქციების მოსახდენად. თუ ეს ორი ხალხი გამოიჩენს მტკიცე ნებას იბრძოლონ მშვიდობისათვის თავისი ძალების ისეთივე დაძაბვით, როგორითაც ისინი ომს ეწეოდნენ, მშვიდობა ევროპაში უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს.

ამრიგად, ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის საძირკვლის ჩაყრასთან ერთად თქვენ დიდ საქმეს აკეთებთ მთელი ევროპისათვის, უზრუნველყოფთ მისთვის მტკიცე მშვიდობას.

შეგიძლიათ არ დაეჭვდეთ, რომ ამ გზით სვლასა და მშვიდობის საქმის განმტკიცებაში თქვენ შეხვდებით მსოფლიოს ყველა ხალხის, მათ შორის ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, პოლონელი, ჩეხოსლოვაკიელი, იტალიელი ხალხების დიდ თანაგრძნობასა და აქტიურ მხარდაჭერას, მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხზე რომ აღარა ვთქვათ რა.

გისურვებთ წარმატებას ამ ახალ, სახელოვან გზაზე.

ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანია!

ი. სტალინი

1949 წლის 13 ოქტომბერი.

ც. მაჭარაშვილი და ა. ჯორჯაძე — ამიერკავკასიის ჩემპიონები ტანვარჯიშში

ბაქოში დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პირველობის გათამაშება ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის უძლიერესმა სპორტსმენებმა.

ტურნირში კარგ შედეგებს მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. ამიერკავკასიის ჩემპიონის წოდება ქალთა შორის მოიპოვა სპორტის ოსტატმა ც. მაჭარაშვილმა (115,2 ქულა). მეორე ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი მ. ჯულელი (114,95). მესამე ადგილი ბაქოელ სპორტის ოსტატს გ. რეიხს (113,55) დარჩა.

მამაკაცთა შორის ჩემპიონი გახდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჯორჯაძე (109,9). მეორე ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა თ. ხანებლიძემ (107,78), მესამე — სპორტის ოსტატმა ა. ალფაიძემ (104,4).

გუნდური პირველობაც, როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა შორის, მოიპოვეს საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა. მათ მოაგროვეს 2.739,081 ქულა. აზერბაიჯანელებმა შეაგროვეს 1.898,055 ქულა, სომხეთის სპორტსმენებმა — 1.749,15.

საბჭოთა კავშირის თასზე

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში სულ უფრო საინტერესო და მძაფრ ხასიათს ღებულობს. ტურნირში თანდათან ებმებიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კოლექტივები — პირველი ჯგუფის ოსტატთა გუნდები.

თბილისის „დინამომ" თავისი პირველი შეხვედრა თასზე 12 ოქტომბერს ჩაატარა ზაპოროჟიეში ადგილობრივ „ლოკომოტივთან". ანგარიშია 3:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

ლენინგრადის ოფიცერთა სახლის გუნდმა მოუგო მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივს" — 1:0.

უკანასკნელი ცნობები

როსტოვი—კალინინგრადი

დონის როსტოვი. 13 ოქტომბერი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). დღეს აქ ჩატარდა მეორე ჯგუფის ოსტატთა საფეხბურთო ტურნირის მორიგი კალენდარული მატჩი.

ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და კალინინგრადის (მოსკოვის ოლქი) ფეხბურთელთა გუნდი. თამაში დამთავრდა როსტოველთა გამარჯვებით—2:1.

ვზარდოთ სპორტსმენ-მხედართა რიგები!

ა. ფარულავა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხთა ბრძენი ბელადის—დიდი სტალინის შეუნელებელი მზრუნველობით საბჭოთა სამშობლოში ფართოდ განვითარდა ფიზიკური კულტურა და სპორტი.

ჩვენი ფიზკულტურელები საბჭოთა სპორტის ღირსებას ბრწყინვალედ იცავენ საერთაშორისო შეჯიბრებებსა და შეხვედრებზე, ამყარებენ ახალ საკავშირო და მსოფლიო რეკორდებს, ყოველდღიურად იმაღლებენ სპორტულ ტექნიკას.

საქართველოში სპორტის აყვავებას უდიდესი ამაგი და ზრუნვა გაუწია ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ფართოდ გავრცელდა აგრეთვე სპორტის ისეთი საინტერესო ნაციონალური სახეები, როგორიც არის: ცხენოსნობა, ლელო, ჭიდაობა და სხვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, მინისტრთა საბჭო და ჩვენი რესპუბლიკის ბოლშევიკების სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას.

სპორტის სხვა სახეებთან ერთად ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობს ხალხური სპორტი, განსაკუთრებით კი ცხენოსნობა, რომელსაც ქართველი ხალხი უხსოვარი დროიდან მისდევს. ხალხურ სპორტს საქართველოში ღრმა ისტორიული წარსული აქვს. ქართველი მხედრები სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლებში მუდამ გმირობისა და თავდადების შესანიშნავ მაგალითებს იძლეოდნენ. მტერზე გამარჯვების შემდეგ იმართებოდა შეჯიბრება ლელოში, ცხენოსნობაში, ჭიდაობაში და ყოველივე ეს სახალხო ზეიმის ხასიათს ატარებდა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა სახელოვანმა კავალერიამ.

მოხერხებულობა, სიმამაცე, ორგანიზმის ფიზიკურად გამოწრთობა,—აი, რა კეთილშობილ თვისებებს იძენს ახალგაზრდა ცხენზე ვარჯიშის დროს. სწორედ ამიტომ უყვართ მშრომელთ ცხენოსნური სპორტი.

ცხენოსნობაში პირველობის გათამაშება საქართველოში 1927 წლიდან დაიწყო. მას შემდეგ ჩემპიონატი სისტემატურად იმართება. 1940 წელს დაწესებულ იქნა ლ. პ. ბერიას სახელობის თასი, რომლის მოპოვებისათვის ბრძოლაში გაიზარდა და დავაჟკაცდა ათასობით ახალგაზრდა ცხენოსანი. მხედრების სპორტული ტექნიკის ამაღლებასთან ერთად საგრძნობლად გადიდდა ცხენოსანთა რიცხვიც. თუ ამ 9 წლის წინათ რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობდა მხოლოდ სამი რაიონი (ზუგდიდი, ცხაკაია, ხობი), შარშან გარდამავალი თასისათვის შერკინებაში ჩაბმული იყო 25 რაიონი. ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე გასული წლის შეჯიბრებანი ცხენოსნურ სპორტში სეზონის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად აღნიშნა.

მხედრები სრულყოფილად დაეუფლენ ცხენოსნობის წარმტაც სახეებს — ისინდს, თარჩიას, დოღს, მარულას. შეჯიბრების პროგრამა გაამდიდრეს ახალი სანახაობით — ჩოგანბურთით, რომელიც ფართოდ იქნება წარმოდგენილი წლევანდელი პირველობის გათამაშებისას.

ლ. პ. ბერიას სახელობის თასს 1940 წელს ფლობდნენ გუდაუთელები, 1944 წელს — ზუგდიდელი მხედრები, 1945 და 46 წლებში იგი მოიპოვეს ცხაკაიას რაიონის მხედრებმა, 1947 წელს — ქ. ფოთის ცხენოსნებმა, ხოლო ამჟამად თასი ხელთ უკავიათ ზუგდიდის რაიონის ცხენოსნებს.

მეტად დაძაბული იქნება თასისათვის ბრძოლა მიმდინარე სეზონის ცხენოსნური სპორტის პირველობაში, რომელიც 16 ოქტომბერს იწყება დელისის იპოდრომზე (თბილისი) და 20 ოქტომბრამდე გასტანს.

ლ. პ. ბერიას სახელობის გარდამავალი თასის მოსაპოვებლად საინტერესო ასპარეზობაზე გამოვლენ გუდაუთის, ქობულეთის, სტალინირის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ქ. ფოთის, ხობის, სამტრედიის, სიღნაღის, გურჯაანის, დუშეთის, აბაშის და წალენჯიხის რაიონების საუკეთესო ცხენოსნები.

ეჭვს გარეშეა, რომ წლევანდელი პირველობა საცხენოსნო სპორტში ხელს შეუწყობს სპორტსმენ-მხედართა რიგების ზრდას და კიდევ უფრო მასობრივს გახდის ცხენოსნურ სპორტს ჩვენს მზიურ რესპუბლიკაში.

ქართველ მოჭიდავეთა გამარჯვება

გასულ პარასკევს თბილისის სახელმწიფო ცირკის უზარმაზარი შენობა აუარებელი ხალხით იყო „ალყაშემორტყმული". აქ შედგა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი კლასიკურ ჭიდაობაში ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს გუნდებს შორის.

ცირკის დარბაზი სადღესასწაულოდაა მორთული. აღმართულია ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშები.

ცირკის ამფითეატრი სავსეა მაყურებლებით, რომლებიც მოუთმენლად ელიან სამატჩო შეხვედრის გახსნას. საღამოს 9 საათია. დამსწრეთა მქუხარე ტაშის ქვეშ იწყება მატჩის მონაწილეთა აღლუმი...

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ფარულავამ. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სამმართველოს უფროსი ბ-ნი ვ. პოკორნი.

მქუხარე ტაში ფარავს სიტყვებს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ურყევი მეგობრობის შესახებ.

ძლევამოსილად ჟღერს ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო ჰიმნი.

გუნდების კაპიტნები, სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. კობერიძე და ს. ბრზალი სამახსოვრო ვიმპელებს უძღვნიან ერთმანეთს, ქართველი მოჭიდავეები ცოცხალი ყვავილების თაიგულებს მიართმევენ სტუმრებს. გაისმის დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ჰიმნი და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი...

იწყება შეჯიბრება.

საჭიდაო სარბიელზე ტრადიციის მიხედვით პირველნი უმჩატესი წონის წარმომადგენლები გამოვიდნენ—ვაცლავ სტრადლი და ვალერიან ვეშაგური. ჩეხოსლოვაკელი ფიზიკურად ძალზე ძლიერი ჩანს, მაგრამ ახალგაზრდა ვეშაგური არ შეაკრთო ამან. ქართველმა მოჭიდავემ ენერგიული შეტევით დაიწყო შეხვედრა და ზედიზედ რამდენიმე ფანდი განახორციელა. გამარჯვება ერთხმად მიენიჭა პირველთრიგოსან ვეშაგურს.

ბრწყინვალედ ჩაატარა თავისი მატჩი სპორტის ოსტატმა ილია ბობოხიძემ (მჩატე წონა) ანტონ კვასნიაკთან. როგორც კი მსაჯმა შეხვედრის დაწყების სასტვენი მისცა, ბობოხიძე თავბრუდამხვევ შეტევაზე გადავიდა. ფანდები სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს და ჩეხოსლოვაკელი დიდის მონდომებით იცავდა თავს, მაგრამ მე-3 წუთზე კვასნიაკი ბეჭებით იყო დაცემული ხალიჩაზე.

ნახევრადმსუბუქი წონის მოჭიდავეების იან სტეგლიკისა და ანდრია ჭელიძის შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონის გამარჯვებით დამთავრდა.

ვაცლავ ტუგი ენერგიულად იცავდა თავს სტუდენტთა ოლიმპიური ჩემპიონის ვასილ ილურიძის შეუნელებელი იერიშებისაგან. ტუგი რამდენიმეჯერ მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო, მაგრამ მოხერხებულად დაიხსნა თავი. საინტერესო შერკინების შემდეგ გამარჯვება ერთსულოვნად მიენიჭა სპორტის ოსტატ ილურიძეს.

დიდი მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა მოჭიდავემ გივი კარტოზიამ. იგი ფიზიკურად ძლიერი, ტექნიკურად კარგად მომზადებული ატლეტია, გააზრებული მოქმედებითა და სპორტული ქინით აღჭურვილი. სტეფანე მესეშთან კარტოზიას შეხვედრა 5 წუთზე მეტხანს გაგრძელდა—მესეშის „ხიდი" ჩატეხილი იქნა...

საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი დავით ციმაკურიძე (საშუალო წონა) ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭიდავეს ვაცლავ ზაბრანსკის შეხვდა. მე-2 წუთზე ქართველმა მოჭიდავემ სწრაფი ფანდით მოწინაალმდეგე ჩააჩოქა და ხელები კისერზე შემოაჭდო. ზაბრანსკი დიდ წინააღმდეგობას უწევს ციმაკურიძეს და „ხიდის" გაკეთების ცდაშია. ციმაკურიძე ჰქანცავს მას და 8 წუთისა და 50 წამის შემდეგ ზაბრანსკი მარცხდება.

ლამაზად ჩაატარა თავისი მატჩი სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კონსტანტინე კობერიძემ. 4 წუთისა და 24 წამის შემდეგ მისი მოწინააღმდეგე სლავომილ ბრზალი ბეჭებით შეეხო ხალიჩას.

ყველაზე ხანმოკლე გამოდგა მძიმე წონის მოჭიდავეთა—სპორტის ოსტატის არსენ მეკოკიშვილისა და ალოიზ კეშნერის შებრძოლება. მეკოკიშვილმა ორი წუთიც კი არ მოანდომა თავის გამარჯვებას.

ამრიგად, საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს გუნდებს შორის დამთავრდა ანგარიშით 7:1 ქართველ მოჭიდავეთა გამარჯვებით.

შეხვედრამ, რომელიც უაღრესად მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა, გამოამჟღავნა ორივე გუნდის სპორტსმენების მაღალი ტექნიკა. საქართველოს წარმომადგენლებმა მრავალრიცხოვან მაყურებელს უჩვენეს თავიანთი დიდი უპირატესობა საერთაშორისო შეხვედრებში მრავალნაცად ძლიერ მოწინააღმდეგეზე.

კარგად იმუშავა მსაჯთა კოლეგიამ საკავშირო კატეგორიის მსაჯის ი. ჟანჩელის ხელმძღვანელობით.

* * *

სურათზე: სტუდენტთა საერთაშორისო თამაშობათა ჩემპიონის, სპორტის ოსტატის ვ. ილურიძისა და ჩეხოსლოვაკელ ვ. ტუგის შებრძოლების ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა



„შრომითი რეზერვებმა" მუშაობა უნდა გააუმჯობესოს

მუშათა მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა და მისი სრულყოფილი განვითარება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ეს საპასუხისმგებლო როლი სპორტულ საზოგადოება „შრომით რეზერვებს" აქვს დაკისრებული.

ჩვენს რესპუბლიკაში სახელოსნო, სარკინიგზო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ფართო ქსელია. ამ სასწავლებლების აღსაზრდელები დიდი სიყვარულით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეს, გატაცებით მეცადინეობენ ფიზკულტურულ სექციებში, იღებენ მონაწილეობას სპორტულ შეჯიბრებებში.

შარშანდელთან შედარებით „შრომითი რეზერვების" სპორტულ სექციებში მომეცადინე ფიზკულტურელთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. კარგად სრულდება მათ ნიშნოსანთა მომზადების წლიური გეგმა და სხვ.

მაგრამ „შრომითი რეზერვებში" მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეს სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. ეს, პირველ ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ შრომითი რეზერვების სამმართველოს სასკოლო განყოფილება და სასწავლებლების დირექტორები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და სასწავლო-პედაგოგიურ პროცესის მაღალხარისხოვნად ჩატარებას. მთელ რიგ სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში სასწავლო-თემატიკური გეგმები და გაკვეთილების კონსპექტები უხარისხოდ მუშავდება, მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლებას არ ექცევა ყურადღება. მეთაურთა ყოველდღიური მეცადინეობა ფორმალურად ტარდება და მასში არ არის ჩაბმული კვალიფიციური ფიზკულტურული კადრები. სასწავლებლების დირექტორები ფიზკულტურულ მეცადინეობებს ხელმძღვანელობას არ უწევენ. საზაფხულო სპორტული მოედნებისა და საზამთრო ბაზების მშენებლობა ჩამორჩენილია, ხოლო არსებული დარბაზები, რომლებიც შეკეთებას საჭიროებენ, არ არის უზრუნველყოფილი სპორტული ინვენტარით.

მე-5, მე-15 და მე-18 სახელოსნო სასწავლებლებში, მე-8 საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში და პირველ სარკინიგზო სასწავლებელში 1949-50 სასწავლო წლისათვის სპორტული ბაზები არაა მზად. სრულებითაც არ გამოუყვიათ ადგილი ფიზკულტურული მეცადინეობისათვის მე-11 და მე-14 სახელოსნო სასწავლებლებსა და მე-11 საფაბრიკო-საქარხნო სკოლას.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების" მთელ რიგ სპორტულ სექციებში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის სუსტად დაყენების შედეგად არადამაკმაყოფილებლად სრულდება I და III თანრიგის სპორტსმენთა მომზადების გეგმა. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონული კომიტეტები შრომითი რეზერვების სასწავლებლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეს არ უწევენ სათანადო კონტროლს და ყოველდღიურ დახმარებას.

სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ამ დღეებში შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი. ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ურჩია „შრომით რეზერვებს" მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესება. ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება დაევალათ სკოლების დირექტორებს და სასწავლო ნაწილის გამგეებს. სასწავლო-მეთოდურმა საბჭოებმა სისტემატურად უნდა მოისმინონ თავიანთ სხდომებზე მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხები, გადამწყვეტი ზომები მიიღონ არსებული სპორტული ბაზების შესაკეთებლად, მოამარაგონ ისინი აუცილებელი ინვენტარითა და ხელსაწყოებით, ყველა სასწავლებელში მოაწყონ ფიზკულტურული მოედნები და სხვ.

ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო პროგრამის შესასრულებლად სამმართველოს სასკოლო განყოფილებამ უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებას.

ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოება „შრომით რეზერვებს" და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონულ კომიტეტებს დაევალათ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებების გატარება სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ფიზიკური აღზრდის საქმის ძირფესვიანად გაუმჯობესების მიზნით.

„შრომითი რეზერვებმა" მოკლე დროში უნდა აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებანი და სანიმუშოდ მოაწყოს მუშათა მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა.

ი. ქადაგიძე

რესპუბლიკური შეჯიბრების წინ საცხენოსნო სპორტში

რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ცხენოსანი, სიღნაღელი ფორე მჭედლიშვილი წინაღობათა ზოლის გადალახვისას.

ფოტო ე. სილდირიანისა

მოკრივეთა ტურნირი

თბილისში დამთავრდა შეჯიბრება კრივში ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „პიშჩევიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. ტურნირში მონაწილეობდნენ მოსკოვის, თბილისის, ოდესის, როსტოვის, ასტრახანისა და მახაჩ-ყალის მოკრივეები.

წონითი კატეგორიების მიხედვით „პიშჩევიკის" 1949 წლის ჩემპიონები გახდნენ: ე. ბაღდასაროვი (თბილისი), სპორტის ოსტატი მ. სერიოგინი (მოსკოვი), გ. დარბაისელი (თბილისი), ა. კაზაკოვი (მოსკოვი), სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. შჩერბაკოვი (მოსკოვი), ნ. დარბაისელი (თბილისი), სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. კოროლიოვი (მოსკოვი).

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის კოლექტივმა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ვ. ჩუდინოვი). თბილისელები მეორე ადგილზე გამოვიდნენ (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ბ. კალაძე).

* * *

მოსწავლეები აგებენ ახალ მოედნებს

სტალინირი. რაიონის სოფ. ზემო ქერეს და ქსუისის რვაწლიანი სკოლების მოსწავლეებმა საკუთარი ძალებით ააგეს სასკოლო სპორტული ბაზები, სადაც მოაწყვეს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

ვ. მელქოევი

* * *

გუდაუთი. ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველ საშუალო სკოლასთან მოეწყო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. აქ ჩამოყალიბდა აგრეთვე ტანვარჯიშის სექცია. ნორჩი ფიზკულტურელები სისტემატურად ატარებენ საწვრთნელ მეცადინეობას.

გ. გვაძაბია

წნორის იპოდრომზე

ამ დღეებში დაბა წნორის იპოდრომზე არაჩვეულებრივი გამოცოცხლება სუფევდა. აქ ჩატარდა ზონალური შეჯიბრება ცხენოსნობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სიღნაღის, გურჯაანის, კაჭრეთის, თელავისა და წითელწყაროს რაიონების ცხენოსანთა გუნდებმა.

ისინდში გურჯაანელმა ცხენოსნებმა კაჭრეთელები დაამარცხეს, ხოლო სიღნაღის გუნდმა გამარჯვება მოიპოვა გურჯაანელებთან შეჯიბრებაში.

ყაბახში საუკეთესონი აღმოჩნდნენ სიღნაღის რაიონის მხედრები. ქიზიყელმა ცხენოსანმა სტეფანე კუტიბაშვილმა ლამაზად გამოანავარდა ცხენი, ნავარდითვე მიუახლოვდა სამიზნეს, ოსტატურად სტყორცნა ისარი და მოახვედრა კიდეც მაღალ ძელზე დამაგრებულ ბურთს.

ჩეხვაში 8 მხედარი მონაწილეობდა. სიღნაღელმა ფ. მჭედლიშვილმა 12 ასაჩეხი წერტილიდან 11 აჩეხა და პირველი ადგილი დაიკავა.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა სიღნაღის რაიონის ცხენოსანთა გუნდის ნორჩმა მხედარმა ო. ფხოველიშვილმა, რომელმაც დოლში მესამე ადგილი მოიპოვა. ო. ფხოველიშვილი 13 წლისაა, გატაცებით უყვარს ცხენოსნური სპორტი, სისტემატურად ვარჯიშობს და შეჯიბრებებშიც კარგ შედეგებს აღწევს. მან ამჯერად 8 კილომეტრიან მარულაში პირველი ადგილი დაიკავა.

გუნდური პირველობა და რესპუბლიკის საცხენოსნო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა სიღნაღის რაიონის გუნდმა, რომელსაც შესანიშნავი მხედარი ფორე მჭედლიშვილი ხელმძღვანელობს.

ლ. ველისციხელი

სიღნაღი.

ნორჩი მხედრის წარმატება

ქუთაისი. (ჩვენი კორ.). ქუთაისის, წულუკიძის, წყალტუბოს, სამტრედიისა და ვანის რაიონების 84 საუკეთესო მხედარმა მიიღო მონაწილეობა ზონალურ საცხენოსნო შეჯიბრებაში, რომელიც აგარაკ მუხნარში ჩატარდა.

დიდი ინტერესი გამოიწვია მარულამ 8 კილომეტრის მანძილზე. ეს მეტად წარმტაცი შეჯიბრება დამთავრდა ნორჩი მხედრის, ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლის არჩილ კილაძის ბრწყინვალე გამარჯვებით.

მშვენიერი ოსტატობა გამოამჟღავნა სამტრედიის რაიონის წარმომადგენელმა გ. ხარებავამ, რომელმაც პირველობა მოიპოვა დოლში. დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში ყველას აჯობა სამტრედიელმა ცხენოსანმა ვ. ჭკუასელმა.

პირველობა და რესპუბლიკურ საცხენოსნო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა სამტრედიის რაიონის ცხენოსანთა გუნდმა.

ხალხური ტალანტების დათვალიერება

საუბარი მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან ამხ. ვ ხატიაშვილთან

მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვ. ხატიაშვილმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა ქართველი ხალხის ნამდვილ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად იქცა. ჩვენი მზიური რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხეში ჩატარდა თვითმოქმედი კოლექტივების წინასწარი ადგილობრივი დათვალიერებანი, რომელშიც მონაწილეობდა ათი ათასამდე კაცი. აქ გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი შემსრულებელი — მომღერალი, მოცეკვავე, ხალხური მთქმელი, სახვითი ხელოვნების ოსტატი...

26 სექტემბერს ისინი წარსდგნენ რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა წინაშე ნაირფეროვანი პროგრამით, რათა ეჩვენებინათ ქართული ხალხური შემოქმედების უბადლო ნიმუშები.

ხუთი დღის განმავლობაში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საზეიმოდ მორთული ხალხით სავსე დარბაზი არაჩვეულებრივი სანახაობის მოწმე იყო: სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ რესპუბლიკის ყველა რაიონიდან ჩამოსული მოხუცები, ახალგაზრდა ქალები და ვაჟები, ნორჩი თაობის წარმომადგენლები, საწარმოთა სტახანოველები, საკოლმეურნეო მინდვრების უხვი მოსავლის ოსტატები, დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, უმაღლესი სასწავლებლების წარჩინებული სტუდენტები, სკოლების ფრიადოსანი მოსწავლეები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი რამ: წინა ოლიმპიადებისაგან ეს ოლიმპიადა განსხვავდებოდა იმით, რომ მასში მთელი სისრულით, სრულყოფილად იყო ასახული მრავალსაუკუნოვანი ქართველი ხალხის უმდიდრესი ხალხური შემოქმედება, რომელიც არნახულად გაიფურჩქნა და აყვავდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბოლშევიკური პარტიისა და პირადად დიდი სტალინის ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგად.

ეს იყო ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური ხალხური შემოქმედებისა და ხელოვნების მიღწევების ბრწყინვალე დემონსტრაცია.

როგორც კოლექტიურ, ისე ცალკეულ შემსრულებელთა გამოსვლებში თვალნათლივ სჩანდა ქართველი ხალხის ბედნიერი და მჩქეფარე ცხოვრების მაჯისცემა. ისინი ვაჟკაცური და მელოდიური ჰანგებით მთელი გულით უმღეროდნენ ძლევამოსილ სამშობლოს, სტალინურ კონსტიტუციას, ჩვენი ბედნიერი აწმყოსა და უბედნიერესი მომავლის გენიალურ შემოქმედს — დიდ სტალინს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს — ლავრენტი ბერიას, საკოლმეურნეო შრომას და სხვ.

ასევე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ხალხური სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენამ. აქ წარმოდგენილი იყო იშვიათი ოსტატობით შესრულებული ქანდაკებები, ზეთის ფერადებით შესრულებული სურათები, ხესა და ქვაზე მხატვრული ჭრა, ხალხური საკრავი ინსტრუმენტები, ნაქარგები...

აღსანიშნავია ერთი სამწუხარო მოვლენა: ოლიმპიადაზე სუსტად იყო წარმოდგენილი ფიზკულტურულ-სპორტული თვითმოქმედება. უდაოა, რომ რუსთავის გუნდისა და თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივების მიერ ნაჩვენები აკრობატული გამოსვლები ოდნავადაც არაა საკმარისი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე რესპუბლიკაა ფიზკულტურისა და სპორტის დარგში.

ოლიმპიადაზე უდიდესი წარმატებით გამოვიდნენ გორის, გეგეჭკორის, ხაშურის, ონის, ყაზბეგის, ზემო სვანეთის რაიონებისა და აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები.

დოლი, მარულა, ყაბახი...

თითქოს საგანგებოდ გადაიღო წვიმამ. ცაზე მუქი ღრუბლები მიმოიფანტა და მზემ გვიან, მაგრამ იმედიანად გამოიხედა. შორს აჭარის მთაგრეხილის მწვერვალები აელვარდნენ...

შესანიშნავად მორთულ იპოდრომს წითელი ალმები ამშვენებენ. მოდის და მოდის ხალხი. ყველას აინტერესებს ნაციონალური სპორტის მრავალსახეობის—შუბისა და შვილდის ტყორცნის, ჩეხვის, დოლისა და მარულას ოსტატთა შეჯიბრების ხილვა. მუსიკა საამო ჰანგს აფრქვევს.

— იწყება! ამ სიტყვამ ელვასავით გადაუქროლა ხალხით სავსე ვრცელ მოედანს.

დაიწყო სამი რაიონის—ქობულეთის, ბათუმისა და მახარაძის ცხენოსან სპორტსმენთა შეჯიბრება.

საშუალო ტანის ცხენზე ზის ქობულეთელი რ. მეგრელიძე, რომელიც შესანიშნავ წარმატებას აღწევს დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში. მეგრელიძემ პირადი პირველობა, ხოლო ქობულეთელმა ცხენოსნებმა გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს.

— იწყება ისინდი!—გამოაცხადა მსაჯთა კოლეგიის წევრმა და მხედარს ბათუმის რაიონიდან ქობულეთელი დაედევნა. აქაც გამომჟღავნდა ქობულეთელთა უპირატესობა. მათ 8 ქულა მოაგროვეს და ისინდშიც პირველობა დაისაკუთრეს.

ყაბახში ყველას აჯობა ქობულეთის რაიონის „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულმა წევრმა დ. ვერულიძემ.

განსაკუთრებული ინტერესით ელის მრავალრიცხოვანი მაყურებელი დოლსა და მარულას.

... დაძაბული ბრძოლაა გამართული ლ. პ. ბერიას სახელობის რესპუბლიკური თასის გათამაშებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

დოლმა, რომელიც მძაფრი შეჯიბრებით ხასიათდებოდა, მხიარული გამოცოცხლება გამოიწვია. გამარჯვება ქობულეთელ კომკავშირელს ფ. სალიკოვს დარჩა.

იპოდრომზე დინჯად შემოვიდნენ მარულას ოსტატები. ცხენები მოეწყვნენ სტარტზე. მსაჯმა დროშა დაიქნია და ადგილიდან შურდულივით მოწყდა ექვსი ცხენი. მალე დაწინაურდა ქობულეთელი მ. ცენტერაძე, მას მიჰყვნენ მახარაძელი და ბათუმელი მხედრები. 10 წრე უნდა გაეკეთებინათ და სწორედ ამიტომ არ ჩქარობდნენ ზოგიერთი მხედრები. მეექვსე წრეზე ნორჩმა ცხენოსანმა კუკური ხარაზმა თავისუფლად მიუშვა ცხენს აღვირი და მალე მან უკან ჩამოიტოვა თავისი მოწინააღმდეგენი. მეცხრე წრეზე კუკურის ბედაური ტყვიასავით მიაპობდა ჰაერს და დაღლა არ ემჩნეოდა. ის პირველი მივიდა ფინიშთან. გამარჯვება ქობულეთის რაიონის სოფელ გელაურის რვაწლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლეს კ. ხარაზს დარჩა. მეორე ადგილზე ახალგაზრდა მხედარი მ. ცენტერაძე გამოვიდა.

აღტაცებულმა მაყურებლებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს საცხენოსნო სპორტის ოსტატები.

პ. სახეჩიძე.
(ჩვენი საკ. კორ.)

ქობულეთი.

ა. ჩუდინა ამყარებს მსოფლიო რეკორდს

ჩვენი ქვეყნის პირველობა მრავალჭიდში

8 და 9 ოქტომბერს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა 1949 წლის საბჭოთა კავშირის პირველობა მრავალჭიდში — ვაჟებისათვის ათჭიდსა და ქალებისათვის — ხუთჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოძმე რესპუბლიკებისა და მოსკოვის და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

მონაწილეთა აღლუმის შემდეგ შეჯიბრების ალამი აღმართეს საბჭოთა კავშირის 1948 წლის ჩემპიონებმა მრავალჭიდში ესტონელმა ხეინო ლიპმა და მოსკოველმა ალექსანდრა ჩუდინამ.

ტურნირი დაიწყო. შეჯიბრებამ თავიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მრავალჭიდელები ხ. ლიპი (ტარტუ), ვ. ვოლკოვი (მოსკოვი), პ. დენისენკო (უკრაინა), ლენინგრადელები ს. კუზნეცოვი, ვ. ეველევი და ი. ლიტუევი ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩემპიონის საპატიო სახელის მოპოვებისათვის.

სამწუხაროდ, ტურნირის მეორე დღეს ავადმყოფობის გამო შეჯიბრება დასტოვა პირველობის მთავარმა პრეტენდენტმა ლიპმა. ამ გარემოებამ უფრო მეტად გაამწვავა ბრძოლა პირველი ადგილისათვის.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ ჩემპიონის წოდება დამსახურებულად მოიპოვა სპორტის ოსტატმა ვ. ვოლკოვმა, რომელმაც მოაგროვა 7.173 ქულა. მეორე ადგილზე დარჩა სტუდენტთა საერთაშორისო თამაშობებში გამარჯვებული სპორტის ოსტატი პ. დენისენკო (6.975 ქულა), მესამე ადგილზე გამოვიდა შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ი. ლიტუევი (6.880), შემდეგ — სპორტის ოსტატი ვ. ეველევი (6.835) და სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. კუზნეცოვი (6.629).

ქალთა შორის ყოველგვარი კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჩუდინა. მან გამარჯვების გარდა ბრწყინვალე შედეგს მიაღწია—ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.934 ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ ქალები გამოდიოდნენ ახალი სახის ხუთჭიდში, რომელიც წელს უამტკიცა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ. მასში შედის: რბენა 200 მეტრზე, 80 მეტრზე თარჯრბენი, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ბირთვის კვრა.

მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი კ. ტოჩენოვა (3.983 ქულა), შემდეგ — სპორტის ოსტატი მ. ბალაშოვა (3.854), სპორტის ოსტატი ლ. ბოროდინა (3.803) და ზ. კვაშნინა (3.720).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვა ქ. ლენინგრადის კოლექტივმა. მეორე ადგილზე არიან მოსკოველები.

საქართველოს მძლეოსნებმა ეს საპასუხისმგებლო შეჯიბრება სუსტად ჩაატარეს და მხოლოდ მეშვიდე ადგილზე გამოვიდნენ. მიუხედავად ამისა მათ რესპუბლიკის ახალი რეკორდები დაამყარეს: სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკიელმა მოაგროვა 3.620 ქულა და ვ. პორტნოვმა — 5.424 ქულა.

ლ. გიორგაძე,
საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი მძლეოსნობაში.

* * *

სურათებზე: ზევით — საბჭოთა კავშირის 1949 წლის ჩემპიონი ათჭიდში სპორტის ოსტატი ვ. ვოლკოვი სიმაღლეზე ხტომის მომენტში. ქვევით — საბჭოთა კავშირის 1949 წლის ჩემპიონი ხუთჭიდში სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჩუდინა რბენის დროს. მას ფეხდაფეხ მისდევს სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი.

ფოტო ი. ალიხანოვისა

მოსკოვის „დინამო"—ჩემპიონი

★

შენიშვნები ფეხბურთის საკავშირო გათამაშებაზე

★

დღეს მოსკოვსა და მინსკში ჩატარდება სსრ კავშირის XI პირველობის ორი უკანასკნელი მატჩი ფეხბურთში. შეივსება სატურნირო ცხრილის ორი გრაფა და 1949 წლის 306 მატჩი სამუდამოდ შევა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში.

18 უძლიერესი გუნდის წლევანდელი ტურნირი განსაკუთრებით მწვავედ ჩატარდა. იგი მრავალმხრივ საინტერესო და სასარგებლო გამოდგა ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელებისათვის.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ხუთი ახალი გუნდის შეყვანამ ჩემპიონატში ძლიერ გამოაცოცხლა ბრძოლა, გაართულა მოწინავე გუნდების ისედაც ძნელი ამოცანები და საბჭოთა ფეხბურთს შესძინა ახალგაზრდა ნიჭიერ მოთამაშეთა ჯგუფი. ასეთები არიან: მეკარე უგრაიცკი, თავდამსხმელები ბორზენკო და ლაბუნსკი (ხარკოვის „ლოკომოტივი"), მეკარე არზუმანოვი, დამცველი ხლისტოვი, თავდამსხმელი აბრამაშვილი („ნეფტიანიკი"), მეკარე პესტოვი („შახტიორი") და სხვები.

ხარკოვისა და ბაქოს გუნდები შევიდნენ საბჭოთა ფეხბურთის უძლიერესი კოლექტივების რიცხვში, ბოლო მატჩებში კარგი შედეგები მოიპოვა ერევნის „დინამომ", გააუმჯობესა თამაში რიგის „დაუგავამ" და „შახტიორიც" კი, რომელმაც უკანასკნელი ადგილი დაიკავა ტურნირში, ბოლო დროს სავსებით მომწიფებულ თამაშს უჩვენებდა.

მიმდინარე სეზონმა დააწინაურა დუბლშემადგენლობის საკმაოდ კვალიფიციური მოთამაშეები. როგორც ყოველთვის, ნიჭიერი ახალგაზრდობის დიდი რაოდენობა მოგვცეს მწვრთნელებმა ბ. არკადიევმა (ცდკა) და ა. დანგულოვმა („სპარტაკი").

ისეთი მეკარეები, როგორიც არიან ჩერნიშოვი და კოსტიკოვი („სპარტაკი"), ჩანოვი (ცდკა), გრაჩევი (მოსკოვის „ლოკომოტივი"), დარმანიანი (მოსკოვის „ტორპედო"), ბოიკო (ლენინგრადის „დინამო") მალე ნამდვილი ოსტატები გახდებიან.

დაცვაში სახელი გაითქვა სედოვმა („სპარტაკი"), რომელიც ღირსეულად აგრძელებს „სპარტაკის" სახელგანთქმული დამცველების — სოკოლოვების ტრადიციებს. იგუმნოვი („ზენიტი"), ელოშვილი (თბილისის „დინამო"), კრუშენოკი (ცდკა), ზაბელინი (მოსკოვის „ლოკომოტივი"), ზიაბლიკოვი (ლენინგრადის „დინამო") — ყველა ესენი დიდ იმედებს იძლევიან და ეჭვს გარეშეა, რომ ახლო მომავალში შეძლებენ საბჭოთა ფეხბურთის პრესტიჟის ღირსეულად დაცვას.

ნახევარდაცვაში სეზონმა მოგვცა გარიშვილი და ტანტიბა (თბილისის „დინამო"), როდინი (ცდკა), ა. სოკოლოვი (მოსკოვის „დინამო"), ნეტო („სპარტაკი"), იუსტი (კიევის „დინამო"), ლიადინი (მოსკოვის „ლოკომოტივი").

ახალ მოთამაშეთა დიდი ნაწილი თავდასხმის ხაზზეც გამოჩნდა. ესენი არიან ჩაიჩუკი, კოვერზნევი (ცდკა), ა. ილინი („სპარტაკი"), ორლოვი („ზენიტი"), ვარდიმიადი და ბონდარენკო (ლენინგრადის „დინამო"), ტოკტი (კიევის „დინამო"), პერეხალო (მინსკის „დინამო"), ნეჩაევი და გაბიჩვაძე (მოსკოვის „ტორპედო").

ამ გვარების უბრალო ჩამოთვლა ცხადჰყოფს ჩვენი ფეხბურთის ოსტატთა ახალი ძალების გამოჩენის სასიხარულო ფაქტს.

თამაშის ტაქტიკაში სეზონმა მთელი რიგი საინტერესო შემოქმედებითი ექსპერიმენტი გვიჩვენა, კერძოდ „თამაში უბურთოდ", ე. ი. ბურთისაგან თავისუფალ მოთამაშეთა მანევრები მოწინააღმდეგის დეზორიენტაციისა და იერიშის უფრო მწვავედ ჩატარების ან გაგრძელების მიზნით.

ჩვენი ფეხბურთელები წინანდებურად გაიზარდნენ, თუმცა ტექნიკა მეტი წილი გუნდებისათვის ჯერჯერობით ვიწრო ადგილად რჩება.

პირველობის დამთავრების კარგა ხნით ადრე ჩემპიონის საპატიო წოდება მოსკოვის დინამოელებმა დაიმკვიდრეს. გუნდმა მეხუთედ მოიპოვა ჩემპიონის წითელი ალამი (მწვრთნელი მ. იაკუშინი). გუნდის განმტკიცებამ ისეთი ფეხბურთელებით, როგორიც არიან დამცველი ივანოვი (ლენინგრადის „დინამო") და თავდამსხმელი კონოვი („სპარტაკი") კოლექტივს დიდი სარგებლობა მოუტანა. ლ. სოლოვიოვის, მალიავკინის, ბლინკოვის, ბესკოვის, კარცევის თამაშის მაღალმა კლასმა გამარჯვებულს საშუალება მისცა ბევრ შეხვედრაში ბრწყინვალე ოსტატობა გამოემჟღავნებინა.

მეორე ადგილი დაიკავა ცდკამ — საბჭოთა კავშირის გასული წლების ჩემპიონმა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სეზონის განმავლობაში გუნდს ძლიერ ხშირად უხდებოდა 3-4 წამყვანი მოთამაშის გარეშე მოედანზე გამოსვლა, მაშინ, ეს მიღწევა წარმატებად უნდა ჩაითვალოს. მთელი სეზონის მანძილზე არმიელი ფეხბურთელები შეუპოვრად იბრძოდნენ პირველი ადგილისათვის, მაგრამ ფინიშზე მათ ძალღონე აღარ ეყოთ და მეტად საჭირო ქულები დაჰკარგეს.

ნათელი შთაბეჭდილება დასტოვა „სპარტაკის" თამაშმა. მან კვლავ დაიკავა მესამე ადგილი. „სპარტაკის" თავდასხმის ბრწყინვალე მოქმედებამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

პირველ ხუთეულში გავიდა ორი პროფკავშირული გუნდი — „ზენიტი" და მოსკოვის „ტორპედო". განსაკუთრებით სასიხარულოა „ზენიტის" წარმატება. გუნდი შეწყობილად და მტკიცედ თამაშობდა, მაგრამ მას არ ეყო რეზერვი და ფინიშზე ადგილი დაუთმო პირველ სამეულს.

თბილისის დინამოელებმა, პირიქით, ბოლო მატჩები ძლიერად ჩაატარეს და კარგ შედეგებსაც მიაღწიეს. ცხადია, ამ გუნდისათვის VI ადგილი არაა საჭარბიელო, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალ სეზონში იგი გაცილებით წინ გადაინაცვლებს. ხანგრძლივი ძიების შემდეგ გუნდმა მეორე წრეში იპოვა თავდასხმის უფრო მარჯვე ვარიანტი და წარმატებით, შეწყობილად ჩაატარა ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი. რომ მოთამაშეთა ჯგუფს, კერძოდ ძიაპშიპას, მარცხი არ მოსვლოდა, თბილისის „დინამოს" თამამად შეეძლო ებრძოლა პირველ სამეულში ადგილის დასაკავებლად.

წინ წავიდნენ კიევის დინამოელები და სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდი. გაიუარესეს თავიანთი ადგილები ლენინგრადისა და მინსკის დინამოელებმა, სტალინგრადის ტორპედოელებმა.

ასეთია მოკლედ ძლიერი გუნდების ნახევარი წლის ბრძოლის შედეგები საბჭოთა ფეხბურთის ჩემპიონის დროშისათვის.

ი. ვანიატი

* * *

სურათზე: მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი.

ფოტო ნ. ვოლკოვისა

უძლიერეს მოფარიკავეთა შეხვედრები

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში 12 ოქტომბერს დაიწყო XII საკავშირო პირად-გუნდური ჩემპიონატი ფარიკაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოძმე რესპუბლიკების, მოსკოვის და ლენინგრადის 250-მდე სპორტსმენი. მათ შორის— გასული წლის ჩემპიონები: სპორტის ოსტატი ვ. ვიშპოლსკი (ლენინგრადი), სპორტის ოსტატი ვ. ანდრიევსკი (ლვოვი), სპორტის ოსტატი ი. დეგტიაროვი (ლენინგრადი), სპორტის დამსახურებული ოსტატი პ. გრიშკოვი (მოსკოვი), სპორტის ოსტატი ა. პონომარიოვა (მოსკოვი). აგრეთვე სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. არკადიევი (მოსკოვი), სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. ბულოჩკო (ლენინგრადი), სპორტის ოსტატი ლ. ადაროვი (თბილისი), სპორტის ოსტატი ი. კომაროვი (ლვოვი) და სხვები.

პირველ დღეს შერჩევითი შეჯიბრებების შემდეგ დაიწყო მეოთხედფინალური შეხვედრები რაპირაში მამაკაცთა შორის.

ჩემპიონატი გაგრძელდება 21 ოქტომბრამდე.

გამოქვეყნებული წერილების კვალდაკვალ

„უმოქმედო კლუბი"

ამ სათაურით გაზეთ „ლელოში" დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ქ. მახარაძის სპორტულ საზოგადოება „ბოლშევიკის" საჭადრაკო კლუბის ძალზე სუსტ მუშაობაზე.

როგორც მახარაძის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კ. ხმელიძე იტყობინება, წერილში აღნიშნული ფაქტები სავსებით დადასტურდა. კლუბის გამგე ამხ. რ. ქუონია მოხსნილია სამუშაოდან. დასახულია მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები საჭადრაკო კლუბის მუშაობის უმოკლეს დროში გასაუმჯობესებლად.

თბილისის „სპარტაკი" პირველ ადგილზე მიდის

მეორე ჯგუფის ოსტატთა ტურნირი

* * *

დონის როსტოვი. 12 ოქტომბერი. (**ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან**). ასეთი დაძაბული ბრძოლა იშვიათად თუ რომელიმე ტურნირში გამართულა. მეორე ჯგუფის ოსტატთა საფინალო შეხვედრებში მონაწილე ყოველი გუნდი გააფთრებით იბრძვის ქულებისათვის. თამაშები, რომლებიც ცოცხლად და მაღალხარისხოვნად ტარდება, აურაცხელ მაყურებელს იზიდავს.

გუნდები თითქმის თანაბარი სიძლიერისა არიან. ამას მჭერმეტყველად ამტკიცებს შედეგები — 0:0, 1:1, 2:2, 1:0 და სხვ.

დღეს ქალაქის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „სპარტაკი" და ლენინგრადის გუნდი. თბილისელებმა კვლავინდებურად კარგად ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს — 4:0. ამ მიღწევის შემდეგ თბილისის „სპარტაკს" მოგროვილი აქვს 5 ქულა (6 შესაძლებელიდან) და იგი ტურნირის ლიდერად გვევლინება.

გათამაშების ცხრილი

№	მონაწილეები	1	2	3	4	5	6	7	ქულათა რაოდენ.	ბურთებ. შეფარდ.	ადგილი
1	„სპარტაკი" (თბილისი)	▨		4:0			0:0	1:0	5	5:0	I
2	„დინამო" (როსტოვი)		▨	1:1			0:3	0:2	1	1:6	VII
3	ლენინგრადი	0:4	1:1	▨	2:2	1:1			3	4:8	VI
4	კალინინგრადი (მოსკ. ოლქი)			2:2	▨	4:1			3	6:3	III
5	ოფიცერთა სახლი (სვერდლოვსკი)			1:1	1:4	▨	3:1		3	5:6	V
6	„პიშჩევიკი" (ოდესა)	0:0	3:0			1:3	▨	0:0	4	4:3	II
7	„სპარტაკი" (ლვოვი)	0:1	2:0				0:0	▨	3	2:1	IV

წერილები მწვრთნელებზე

იზრდებიან მომავალი მოკრივეები

— მოხარული ვიქნები, თუ ჩვენთან კრივის სექციას ჩამოაყალიბებთ. ყოველმხრივ შეგიწყობთ ხელს, მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ საჭირო ინვენტარი არ მოგვეპოვება, — უთხრა ქუთაისის მე-4 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა კ. ურუშაძემ მის წინ მდგომ ახალგაზრდას.

— ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ მეცადინეობა მაინც უნდა დავიწყოთ. ინვენტარს მერე შევიძენთ,—უპასუხა ახალგაზრდამ.

— ნება თქვენია. გაეცანით სასწავლებელს და სადაც მოგეწონოთ, იქ ჩაატარეთ პირველი მეცადინეობა.

იმ დღეს სასწავლებლის აღსაზრდელებმა კედელზე გაკრული განცხადება შენიშნეს, სადაც ეწერა, რომ „ხვალიდან ი. მარქაროვის ხელმძღვანელობით მეცადინეობას იწყებს კრივის სექცია“.

მეორე დღეს ივანე მარქაროვი ადრე მოვიდა სასწავლებელში. იგი სულ რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდა საბჭოთა არმიიდან და ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დემობილიზებული სპორტსმენი ქუთაისში გამოგზავნა კრივის სპორტის დასანერგავად. ომამდე ქალაქში რამდენიმე სექცია ყოფილა, მაგრამ ახლა მისი ყოველგვარი კვალი გამქრალა,—საჭირო იყო მუშაობის თავიდან დაწყება.

...სასწავლო საათები დამთავრდა. აღსაზრდელები საერთო საცხოვრებლისაკენ გაემართნენ. მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა იცდიდა გასასვლელთან. ივანე მათკენ გაემართა და გაიგო, რომ ისინი კრივში სამეცადინოდ კი არა, კრივის მეცადინეობის საყურებლად დარჩენილან. მწვრთნელმა მათ საუბარი დაუწყო სპორტის ამ სახეზე, შემდეგ ურჩია ელემენტარულ წესებს გაცნობოდნენ. მაგრამ სად? რითი? არ ჰქონდათ ხელთათმანები და სხვა ინვენტარი. მეცადინეობას მაინც შეუდგნენ: მოზრდილი საამქრო აირჩიეს, იქ ერთი კუთხე სხვადასხვა ნივთისაგან გაანთავისუფლეს და დაიწყო...

აღსაზრდელები თენგიზ გუჯაბიძე, გივი ტიკარაძე, ნოგელი თორთლაძე, გივი მაღლაფერიძე დაკვირვებით შესცქეროდნენ მწვრთნელს, როდესაც მან საწყისი მდგომარეობა მიიღო, უხელთათმნო მუშტები საკრივოდ მოამზადა და აუხსნა შეტევისა და დაცვის ზოგიერთი ილეთი.

გავიდა მოკლე ხანი. მარქაროვმა თბილისიდან ორი წყვილი ხელთათმანი ჩამოიტანა. ხელთათმანებით მეცადინეობამ უფრო მეტი ახალგაზრდა მიიზიდა სექციაში.

ქალაქში კრივის პოპულარიზაციის მიზნით მწვრთნელმა რამდენიმე საჩვენებელი მატჩი ჩაატარა. შემდეგ მოიწვია თბილისელი მოკრივეები, რომლებმაც დამწყებთ თავიანთი ოსტატობა უჩვენეს.

დადგა 1947 წელი. ქუთაისის ნაკრები გუნდი საქართველოს ჭაბუკთა, შემდეგ მოზრდილთა პირველობებში მონაწილეობს და კარგ შედეგებსაც აღწევს. ამ ხანებში ქუთაისში უკვე რვა სექცია მუშაობდა. ერთი სეზონის შემდეგ ქუთაისელი მოკრივეები მეორე ჯგუფის გუნდების რესპუბლიკურ ტურნირში იმარჯვებენ.

* * *

— აი ჩვენი საწვრთნელი დარბაზი, —გვითხრა მარქაროვმა. მოზრდილ ოთახში შევედით, სადაც სამოცამდე სპორტსმენი ვარჯიშობდა, — ზოგი რინგზე ებრძოდა ერთმანეთს, ზოგი ტომარაზე ვარჯიშობდა.—მე თქვენ გაგაცნობთ ქალაქის საუკეთესო მოკრივეებს:—აი გ. გოგიტიძე, ფიზიკურად ძლიერი, ცოტა ტექნიკაში მოიკოჭლებს, მაგრამ მონდომებული ახალგაზრდაა და ამ ნაკლს დასძლევს. ის ა. მალაევია, რომელმაც „შრომითი რეზერვების“ საკავშირო შეჯიბრებაში მჩატე წონაში მეორე ადგილი დაიკავა.

შეხედეთ იმ ახალგაზრდას, მას ულევი ენერგია აქვს. ა. ჩიქვაშვილს დამარცხება გულს არ უტეხს, გამარჯვება კი არ აყოყოჩებს. იგი პირველხარისხოვანი მოკრივე დადგება. ეს თ. გუჯაბიძეა (საშუალო წონა) საკავშირო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის. ფიზიკურად იგი ისეთი სუსტი იყო, რომ უარიც კი ვუთხარი სექციაში მიღებაზე. დედა მოიყვანა, მთხოვეს მეცადინეობაზე დამეშვა... ახლა შეხედეთ მის კუნთებს, მკერდს. უშიშარი მოკრივეა, საზრიანი, მოხერხებული.

მე მხოლოდ მოწინავენი დაგიხასიათეთ, — განაგრძობდა მწვრთნელი,— მაგრამ რიგითი მოკრივეებიც ხომ მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგებიან. ჩვენი მეგობრული კოლექტივი ღრმადაა დარწმუნებული, რომ დაუღალავი შრომით კიდევ ახალ წარმატებებს მოვიპოვებთ.

ა. გორდელი

ქუთაისი.

◆

სურათზე: მწვრთნელი ი. მარქაროვი ესაუბრება დამწყებ მოკრივეს ზ. გოგოლიშვილს.

ფოტო ი. ზენკოსი.



თბილისელი მოსწავლეები დიდი სიყვარულით ეკიდებიან ტანვარჯიშს. **სურათზე:** ქალაქის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ნოდარ კანდელაკი ვარჯიშობს რგოლებზე.

მოკლე ცნობები

ჭიათურა. ხუთ დღეს მიმდინარეობდა საქალაქო შეჯიბრება ფრენბურთში. ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის, სტალინის, ბერიას, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოების, ტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს და სხვა გუნდები.

ტურნირი წაუგებლად ჩაატარა და ჩემპიონის წოდება მოიპოვა ბერიას სახელობის მაღაროს გუნდმა.

შ. ტატიშვილი

* * *

ზესტაფონი. ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის კლუბში ჩატარდა შეჯიბრება კრივში რაიონის გუნდურ პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივისა“ და „მეტალურგის“ მოკრივეები. მატჩი დამთავრდა „ლოკომოტივის“ მოკრივეთა გამარჯვებით (5:3).

გ. გიგაშვილი

ქრონიკა

გორკში დამთავრდა საჭადრაკო მატჩი ოსტატების გ. ილივიცკისა (სვერდლოვსკი) და პ. დუბინინს (გორკი) შორის რუსეთის ფედერაციის ჩემპიონის წოდების მოპოვებისათვის. (მათ რესპუბლიკურ ტურნირში I-II ადგილები გაიყვეს). მატჩი მოიგო ილივიცკიმ (6:2), რომელსაც ჩემპიონის სახელი მიენიჭა.

ცუდად ემზადებიან ზამთრის სეზონისათვის

დღის 11 საათია. „პიშჩევიკის“ წყალჯომარდობის სადგურს მხოლოდ ზღვის ნელი ტალღების ხმაური აცოცხლებს. წყალში ნახევრად გაცვეთილ რკინის ბოძზე ერთადერთი ძველი იალქნიანი ნავი მიუბამთ, ხოლო ერთნიჩბიანი ნავით სპორტსმენი ქალიშვილი ნიჩბის მოსმის ოსტატობას ეუფლება.

იქვე, მეზობელი „დინამოს“ წყალჯომარდობის სადგურიდან ნავში მჯდომი ორი „მეკობრე“ მიუახლოვდა სპორტსმენი ქალის ნავს და ქალიშვილი ნავიდან წყალში გადააგდეს. მათი ხულიგნობით გაბრაზებულმა ქალიშვილმა ნაპირზე გამოსცურა და მომხდარის შესახებ წყალჯომარდობის სადგურის უფროსს ნ. კადიევს შესჩივლა...

ატყდა აურზაური, მაგრამ...

ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს წყალჯომარდობის სადგურის სუსტ მუშაობაზე.

საწყლოსნო სპორტის სეზონი ჯერ არ დამთავრებულა, სამაგიეროდ სადგურის რემონტიც არაა დასრულებული. რემონტის გეგმა სექტემბრის ბოლოსათვის მხოლოდ 42 პროცენტით იყო შესრულებული. 200 ათასი მანეთის ნაცვლად 84 ათასი მანეთია ათვისებული.

—რკინისა და ხე-ტყის მასალებს ვერ ვშოულობთ, — აცხადებს სადგურის უფროსი. მისივე განცხადებით კი მთელი სარემონტო სამუშაო 1-ლი ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს. შევნიშნავთ, რომ თუ ასეთი ტემპებით გაგრძელდა რემონტი, აღნიშნული სამუშაო 1950 წლის ნოემბრისთვისაც კი არ მოთავდება.

წყალჯომარდობის სადგური ცუდად ემზადება ზამთრის სეზონისათვის. ზამთარში აქ უნდა იმუშაოს აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან არსებულმა სპორტულმა სკოლამ, მშრალი ცურვისა და იალქნიანი ნავების მართვის შემსწავლელმა სკოლებმა, მაგრამ სადგური ამისათვის მზად არ არის. ერთადერთი იალქნიანი ნავით არ შეიძლება საიალქნო სპორტული სკოლის მსმენელთა უზრუნველყოფა. გამოყოფილია დარბაზი, სადაც უნდა იმეცადინოს მშრალი ცურვის შემსწავლელმა სკოლამ, მაგრამ ამ დარბაზში ერთი სკამიც კი არა დგას და, რაც მთავარია, სადგურს არ გააჩნია ამ სახის სპეციალისტები.

სპორტული საზოგადოება „პიშჩევიკის“ წყალჯომარდობის სადგურის ხელმძღვანელებს დიდი ოპერატიული მუშაობის ჩატარება დასჭირდებათ, რათა ზამთრის სეზონს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ.

ს. პარკაძე
(ჩვენი საკ. კორ.).

ბათუმი.

ევროპის სტადიონებზე

სპორტული მიმოხილვა

ზატოპეკის რეკორდი გაუმჯობესებულია

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში ამას წინათ ახალი მსოფლიო რეკორდი 10.000 მეტრზე რბენაში დაამყარა ცნობილმა სტაიერმა ხეინომ. მისი დრო ამ დისტანციაზე—29:27,2 ერთი წამით აღემატება ოლიმპიური ჩემპიონის ემილ ზატოპეკის მსოფლიო მიღწევას.

მსოფლიო ჩემპიონები

ბუდაპეშტში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში ქალთა შორის. მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, საფრანგეთისა და ავსტრიის გუნდები.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და ავსტრიის (უკანასკნელ ჩემპიონატში გამარჯვებული) წარმომადგენლები. თამაში დამთავრდა უნგრელ სპორტსმენ ქალთა სასარგებლოდ, ანგარიშით 7:2. მათ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

უნგრელთა ორი მატჩი

ბუდაპეშტში „უიპეშტის“ სტადიონზე უნგრეთისა და იტალიის ნაციონალური გუნდების ფეხბურთის მატჩს 60 ათასი მაყურებელი დაესწრო.

როგორც ბულგარული გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ იუწყება, თამაშის პირველი ნახევარი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა ფრედ — 1:1. ბურთები გაიტანეს: მე-12 წუთზე კარაპელეზემ (იტალია) და 32-ე წუთზე დეაკმა (უნგრეთი).

მეორე ტაიმის მთელ მანძილზე სტუმრებს გამუდმებით უტევდნენ უნგრელები. ბოლო წუთებში უნგრელმა პუშკაშმა გაიტანა მეორე გოლი, მაგრამ ინგლისელმა მსაჯმა ივენსმა დიდი ფიქრის შემდეგ არ ჩათვალა ეს ბურთი. ანგარიში — 1:1 დარჩა თამაშის ბოლომდე.

ერთი კვირის შემდეგ სტოკჰოლმში უნგრელები შეხვდნენ შვეციის ნაციონალურ გუნდს — 1948 წლის ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონს. პირველი ნახევარი უნგრელების დიდი უპირატესობით აღინიშნა. 26-ე წუთზე მარჯვენა გარემარბმა ბუდაიმ გახსნა კიდეც ანგარიში.

შესვენების შემდეგ, მე-4 წუთზე, კაჩიშმა (უნგრეთი) მეორე ბურთი შეაგდო მოწინააღმდეგის კარში. როცა თამაშის დამთავრებას 10 წუთი აკლდა, მოულოდნელი რამ მოხდა: შვედების ცენტრალურმა თავდამსხმელმა შენსონმა ისარგებლა დაცვის უხეში შეცდომით და ანგარიში გახდა 2:1. მსაჯის საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე შვედმა გრესნიმ გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

3.000 მეტრზე — 7:58,8

ამას წინათ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბელგიელმა გ. რეიფმა 3.000 მეტრი გაირბინა 8 წუთსა და 05 წამში (მეორე შედეგი მსოფლიოში). ამის შემდეგ შვეციაში მან სცადა მსოფლიო რეკორდების ცხრილიდან ამოეღო ციფრი — 8 წუთი და 01,2 წამი, რომელიც შვედ გუნდერ ხეგს ეკუთვნოდა. ამჯერად ბელგიელის ცდა წარმატებით დაგვირგვინდა. მან დისტანცია 7 წუთსა და 58,8 წამში გაირბინა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ხალიჩაზე სამბოს ოსტატები გამოვლენ

16 ოქტომბერს ლენინგრადში იწყება საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება სამბოში, რომელიც 22 ოქტომბრამდე გაგრძელდება. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის, ლენინგრადისა და მოძმე რესპუბლიკების ასზე მეტი საუკეთესო მოჭიდავე. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაიცავენ სპორტის ოსტატი შ. ნოზაძე (უმჩატესი წონა), ა. პატარქალიშვილი (მჩატე წონა), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სპორტის ოსტატი ქ. ნონიაშვილი (ქვემსუბუქი წონა), ს. ბახტაძე (მსუბუქი წონა), „დინამოს“ ჩემპიონი ე. ქარქუსაშვილი (ქვესაშუალო წონა), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სპორტის ოსტატი გ. როსტიაშვილი (საშუალო წონა), საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი სპორტის ოსტატი შ. დაუშვილი (ქვემძიმე წონა) და ვ. ლაფაური (მძიმე წონა). ამათ გარდა პირად პირველობაში მონაწილეობას მიიღებენ ა. მალაციძე (უმჩატესი წონა), სპორტის ოსტატი ა. ქველიძე (ქვესაშუალო წონა), დ. ჩაჩანიძე (ქვესაშუალო წონა) და ო. სინჯიკაშვილი (ქვემძიმე წონა).

ქართველი მოჭიდავეები ერთ-ერთი უძლიერესნი სამბოში, კარგ სპორტულ ფორმაში არიან და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სასურველ შედეგებსაც მიაღწევენ საკავშირო ტურნირში.

* * *

ისტორიულად ყველა ხალხის ცხოვრებაში ფიზიკურ მომზადებას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ხალხის ფიზიკური აღზრდის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას ჭიდაობა წარმოადგენდა. ყოველ ერს აქვს ჭიდაობის თავისი ნაციონალური სახე, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ხერხების მრავალფეროვნებითა და სპეციფიურობით.

სამბოს საფუძვლად ქართული ნაციონალური ჭიდაობის ხერხები დაედო, ბევრი რამ მას დაემატა რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, უზბეკურ და ტაჯიკურ ხალხურ ჭიდაობიდან.

სამბო სპორტის ერთერთი საინტერესო სახეა. იგი ადამიანში ნერგავს ძვირფას ფიზიკურ ჩვევებს. სიტყვა სამბო შედგება სამი შემოკლებული რუსული სიტყვისაგან, რაც ქართულად ნიშნავს—თავდაცვა უაიარაღოდ.

პირველი საკავშირო შეჯიბრება სამბოში ჩატარდა 1939 წელს, შემდეგ კი 1940, 1947 და 1948 წლებში. ომისშემდგომი წლების შეჯიბრებებმა ცხადჰყვეს საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი ინტერესი სპორტის ამ ახალი სახისადმი. შარშანდელ შეჯიბრებაში, მაგალითად, 130-ზე მეტი მოჭიდავე მონაწილეობდა.

სამბოს ტექნიკაში ყველაზე რთულ ნაწილს წარმოადგენს მტკივნეული ხერხების ხმარება წოლში (პარტერში). საერთოდ კი, ორთაბრძოლა მიმდინარეობს ისევე სწრაფი ტემპით და ტემპერამენტით, როგორც ქართული ჭიდაობის დროს.

მტკივნეული ხერხების ხმარება ქართველ მოჭიდავეებს სუსტად ჰქონდათ დამუშავებული, ამიტომ ისინი გაურბოდნენ ქვევით ჭიდაობას (პარტერს), რასაც კარგად ჰფლობენ მოძმე რესპუბლიკების მოჭიდავეები. სამაგიეროდ მათ არ ეხერხებოდათ დგომში ჭიდილი. ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა შორის ჩატარებულმა საწვრთნელმა მუშაობამ შეავსო ის ხარვეზები, რომლებიც ქართველ სპორტსმენებს ახასიათებდათ. მოძმე რესპუბლიკების მოჭიდავეებმაც კარგად შეისწავლეს ქართული ჭიდაობის ხერხები და გააუმჯობესეს დგომში ჭიდაობის ხარისხი.

მოჭიდავეთა მომზადების საქმე ჩვენს რესპუბლიკაში კარგად არის დაყენებული ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში („დინამო“ „სპარტაკი“, „მეცნიერება“ და სხვ.). მაგრამ საქართველოს ბევრ რაიონში სპორტის ამ საინტერესო სახის განვითარებას ყურადღებას არ აქცევენ მიუხედავად იმისა, რომ იგი ადვილად ასათვისებელია ქართველი ფიზკულტურელებისათვის.

ი. თომაშვილი,
მწვრთნელი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის პარასკეობით

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ № 14.

ტირაჟი 15.000

უე 05511